





ევროკავშირი
საქართველოსთვის
Project funded by the European Union



შედეგების შეჯამება 2022



საქართველო




WWW.EU4BUSINESS.GE



მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა

EU4Business ევროკავშირის ყოვლისმომცველი ინიციატივაა, რომელიც აერთიანებს ევროკავშირის აქტივობებს მცირე და საშუალო საწარმოების მხარდასაჭერად, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში - სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა.

პორტფოლიო*




ევროკავშირის
მხარდაჭერის
მთლიანი ბიუჯეტი

€276.78
მილიონი

წელს
მიღწეული
შედეგები**

34,634



მცირე და საშუალო
საწარმოს მხარდაჭერა

საწარმოს
მფლობელი
ქალია

15,643

ახალი სამუშაო
ადგილი

€120
მილიონი

დამატებითი
შემოსავალი
გამომუშავეს
მცირე და საშუალო
საწარმოებმა

↑ **+8%**

თანამშრომელთა ზრდა
ევროკავშირის მიერ
მხარდაჭერილ მცირე და
საშუალო საწარმოებში

↑ **+10.1%**

მცირე და საშუალო
საწარმოთა ბრუნვის
ზრდა

↑ **+1.9%**

ევროკავშირის მიერ
მხარდაჭერილი მცირე
და საშუალო მეწარმეები
ჩაერთნენ ექსპორტში

↑ **+6.56%**

ევროკავშირის მიერ
მხარდაჭერილმა მცირე
და საშუალო მეწარმეებმა
გაზარდეს ექსპორტი

* აქტიური პროექტების
მთლიანი ბიუჯეტი
2021 წელს
** მონაცემები
2021 წლისთვის

რა სახის მხარდაჭერას სთავაზობს ევროკავშირი მცირე და საშუალო საწარმოებს საქართველოში?

ფინანსებზე წვდომა:

- ➔ შეღავათიანი სესხები ადგილობრივი ბანკების საშუალებით
- ➔ მიკროდაფინანსება საოჯახო ბიზნესებისთვის
- ➔ მცირე გრანტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის
- ➔ ადგილობრივ ბანკებში თანამშრომელთა გადამზადება, რათა ისინი უკეთ მოემსახურონ მცირე და საშუალო საწარმოებს
- ➔ ფინანსური წიგნიერების ტრენინგები მცირე და საშუალო საწარმოებისათვის

ბიზნესის განვითარების სერვისები:

- ➔ მცირე და საშუალო საწარმოებისთვის პირდაპირი კონსულტაცია და ტრენინგები
- ➔ ტრენინგი და შესაძლებლობების განვითარება ბიზნესის მხარდამჭერი ადგილობრივი ორგანიზაციებისათვის (BSO)
- ➔ ბიზნეს-ინკუბატორების შექმნა სტარტაპებისთვის
- ➔ ბიზნეს-კლასტერების განვითარება ურთიერთმხარდაჭერისა და განვითარებისთვის
- ➔ მთავრობის მხარდაჭერა ახალი ბაზრების აღმოჩენის კუთხით
- ➔ ექსპორტის მხარდამჭერი ორგანიზაციების შესაძლებლობების განვითარება

ბიზნესის ხელშემწყობი გარემო:

- ➔ მარეგულირებელი რეფორმებისა და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა
- ➔ გადაწყვეტილების მიმღები პირებისა და მარეგულირებლების შესაძლებლობების განვითარება
- ➔ საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის ხელშეწყობა
- ➔ საწარმოების ინფორმირება განხორციელებული რეფორმების და ახალი წესების/პროცედურების შესახებ

საქართველოში თითოეული მიმართულების ქვეშ მიღწეული შედეგები



წარმატების ისტორიები

რაჭული ღვინო საერთაშორისო ბაზარზე წარმატებას აღწევს

თამაზ ომანაძე ლეჩხუმელი მეღვინეა, რომლის კომპანია „ხომლის მარანი“ ორგანულ ღვინოებს აწარმოებს. EU4Business-ის, შვედეთისა და ავსტრიის მხარდაჭერით, საწარმომ ახალი აღჭურვილობა შეიძინა და ღვინის წარმოების პროცესი გააუმჯობესა. თამაზმა ასევე მიიღო მარკეტინგული მხარდაჭერაც, რათა ბიოღვინო საერთაშორისო ბაზარზეც დამკვიდრდეს. ომანაძის ღვინო ახლა იყიდება დიდ ბრიტანეთში და ერთი ბოთლის ფასი 800 ფუნტზე მეტია.

იხილეთ სრულად

ეკო-მეგობრული ტანსაცმლის ბრენდი ონლაინ გაყიდვებსა და ექსპორტს ზრდის

ნინო გიორგაძის სამკერვალო საწარმო „ლიდერმა“ და საწარმოს საბავშვო ტანსაცმლის ბრენდმა „ლემომ“ მიიღო მხარდაჭერა საქართველოს ტანსაცმლისა და მოდის ასოციაციისგან (GAFA), რომელიც შექმნილია EU4Business-ის „კლასტერები განვითარებისთვის“ (Clusters4Development) პროექტის ფარგლებში. საწარმომ ფუნქციონირება 2016 წელს 3 თანამშრომლით დაიწყო, ახლა 26 ადგილობრივ ქალს ასაქმებს. „ლიდერის“ ტანსაცმლის 50% საქართველოს ფარგლებს გარეთ გადის. პროექტი გვეხმარება განვითარებაში, მათ შორის გვთავაზობს, ექსპერტის ჩართულობას, გამოფენებში მონაწილეობას და სხვა, - ამბობს გიორგაძე.

იხილეთ სრულად

ევროკავშირის, შვედეთისა და ავსტრიის მხარდაჭერით საქართველოში მთის ჩაის წარმოება იზრდება

ორგანულ ჩაის ფოთლებს კულტურა+“-ში ხელით კრეფენ, ამუშავებენ და ფუთავენ საწარმოში, რომელიც აშენდა GRETA-ს მხარდაჭერით, EU4Business-ის ქოლგის ქვეშ. პროექტის ხელშეწყობით, კომპანიამ წარმოების გასაზრდელად საჭირო დანადგარებიც შეიძინა და ბიოსერტიფიკაციაც აიღო. დღეისათვის „აგრო კულტურა +“-ის ჩაის პლანტაციას 10 ადგილობრივი მუშაობს. ხოლო ზაფხულობით კომპანია 25 ადამიანს ასაქმებს, უმეტესად ქალებს, რომლებიც ჩაის კრეფაში იღებენ მონაწილეობას.

იხილეთ სრულად



ევროკავშირი და EBRD წიგნის სადისტრიბუციო ქართულ კომპანიას მზის ენერჯის გამოყენებაში ეხმარება

ირაკლი სებისკვერამის კომპანია „წიგნის სამყარო“ თბილისსა და რეგიონებში წიგნებით 250-ზე მეტ მაღაზიას ამარაგებს. კომპანიამ მიიღო დაფინანსება ევროკავშირისა და EBRD-ის ერთობლივი საკრედიტო ხაზისაგან, მზის პანელებისა და სადღურის შეძენისთვის. სესხს დაემატა გრანტი და დახმარება ადგილობრივი და საერთაშორისო კონსულტანტებისგან. მზის ენერჯიაზე გადასვლით კომპანია ხარჯებს ამცირებს და გარემოსაც ნაკლებ ზიანს აყენებს.

იხილეთ სრულად

ევროკავშირი, შვედეთი და EBRD ქართულ კომპანიებს ციფრული გაყიდვების სფეროს ათვისებაში ეხმარებიან

ქეთი ვაჩიბერამემ, ელექტრონული კომერციის პლატფორმა B2C.GE-ის დამფუძნებელმა, მიიღო მხარდაჭერა EU4Business-ის „ქალები ბიზნესში“ პროგრამის საშუალებით, რომელსაც EBRD ახორციელებს. პლატფორმის ფუნქციონალიზების გლობალური ელექტრონული კომერციის პლატფორმებთან შესაბამისობაში მოსაყვანად კომპანიას ადგილობრივი კონსულტანტები დაეხმარნენ. პლატფორმაზე მაღაზიების რაოდენობა 135%-ით, ხოლო კომპანიის შემოსავალი 1000%-ით გაიზარდა.

იხილეთ სრულად

ევროკავშირი და გაერო პურის მწარმოებელ ქართულ საწარმოს მეტი მომხმარებლის მოზიდვაში ეხმარება

მზია ბენდელიანის საწარმო „თავთუხი“ ქართველ მომხმარებლებს მაღალი ხარისხის პურით ამარაგებს, რომელიც დამზადებულია 100% ნატურალური ინგრედიენტებისგან. „შემფუთველთა კლასტერმა“, რომელსაც მხარს უჭერს EU4Business, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) საშუალებით, კომპანიას მრავალფეროვანი დახმარება გაუწია: საგანმანათლებლო და საკონსულტაციო მომსახურება, მენტორობა, კატალოგი და სხვა. თავთუხი ახლა მარკეტინგული სტრატეგიის გაუმჯობესებას გეგმავს.

იხილეთ სრულად